ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N37

23.04.2024 წელი
12:00 საათი

ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ბიუროს სხდომათა დარბაზი

მიმდინარე წლის 23 აპრილს, 12:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამ ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი) და **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა,** საკრებულოს წევრები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 3 (სამი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“** საკითხი (საფუძველი წერილი №12-032405959-03, 28.02.2024),
   მომხსენებელი - ლევან მიქავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.
2. **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (საფუძველი წერილი №12-032408818-03, 28.03.2024),
   მომხსენებელი - **ირაკლი გვილავა,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომა წარიმართა **განათლებისა და კულტურის კომისიასთან** ერთად.

კომისიების გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გურამ ოქროპირიძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ ინფორმაციას 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. შემოსავლების ნაწილში ბიუჯეტი შესრულდა 104%-ით, მათ შორის არის ქონების გადასახადიდან შემოსულობები, ქონების გადასახადი შესრულდა 114%-ით, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადი, შესრულდა 99,8%-ით. გრანტების ნაწილში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი იყო 440 მილიონი ლარი, რომელიც მთლიანად მოხმარდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს, სხვა შემოსავლები შესრულდა 327 მილიონი ლარით, არაფინანსური აქტივების კლება შესრულდა 95 მილიონი ლარით, ჯამში ბიუჯეტის შემოსულობები 105.8%-ით შესრულდა, ანუ გადაჭარბება შეადგენდა 98 მილიონ ლარს. გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტი შესრულდა 94%-ით, მათ შორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა შესრულდა 96,7%-ით, ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა 93.6%-ით, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება 94.5%-ით, ეკონომიკის განვითარება 98%-ით, ბემეას პროგრამა 99%-ით, ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 97%-ით, განათლება 93%-ით, კულტურა სპორტი და ახალგაზრდობა შესრულდა 80%-ით, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება 97%-ით, წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები 91%-ით. რაც შეეხება გადაჭარბებით შემოსულ შემოსავლებს 98 მილიონს და გასულ წელს აუთვისებელ თანხას, რომელმაც შეადგინა 104 მილიონი, ჯამში 202 მილიონი ლარი შეადგინა და ნაშთის სახით გადმოვიდა, აღნიშნული თანხა 2024 წლის ბიუჯეტის თებერვლის თვის ცვლილების დროს გადანაწილდა სხვადასხვა პროექტებზე და პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე- (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესებში ცვლილების შესახებ დადგენილების პროექტი კომისიას, თბილისის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, დადგენილების პროექტით, წესში ცვლილების ძირითადი ნაწილი ეხება დაფინანსების განსაზღვრას, მოგეხსენებათ, ერთი მიმართულებაა კომისიური წესით განხილვა და მეორე მთავრობის სხდომა, ვინაიდან კულტურის მიმართულების პროექტების ბიუჯეტის ოდენობა, რომელიც განსაზღვრულია 25,0 ათას ლარამდე გადის კომისიის სხდომაზე, ხოლო 25,0 ათასი ლარიდან ზემოთ გადის მთავრობის სხდომაზე, ხოლო განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის ნაწილში არ იყო იგივე თანხა და შეადგენდა 20,0 ათას ლარს, აღნიშნული ცვლილებით ყველა მიმართულებით მოხდება თანხის გათანაბრება 25,0 ლარამდე, ეს გახლავთ ცვლილების ძირითადი მიზანი. აგრეთვე, **„საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო“**, სამინისტროების სახელწოდების ცვლილების გათვალისწინებით, შეიცვლება **„საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროთი“.**

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი,

მომხრე - გურამ ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე - (3),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა - (0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 12 თებერვლის N37-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამ ოქროპირიძე